

დოკუმენტური თხრობის ზოგიერთი ასპექტი XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში

კობიაშვილი მაია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.48>

აბსტრაქტი. საბჭოთა ლიტერატურული პროცესების მიმართ საზოგადოების ცხოველი ინტერესი დღემდე არ ცხრება, რაც აშკარა გამოწვევაა კრიტიკოსებისთვის ძირეულად გააანალიზონ, თუ როგორ აისახა გასაბჭოების სინამდვილე მხატვრულ ნაწარმოებებში.

ეროვნული თვითმყოფადობის საკითხში ქართულ საზოგადოებას ახასიათებს ორჭოფობა. სურვილი და მიზანი ერთი აქვს, მაგრამ მიზნისკენ სწრაფვაში ნაკად-ნაკად მიდის, ჩერდება, მიდის, ჩერდება, ზოგჯერ გადაუხვევს გზიდან. ამ პროცესს განაპირობებს პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული ფაქტორები.

დამოუკიდებელი საქართველოს დროშის, როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლოს, სიხარული შეცვალა საბჭოთა წითელმა დროშამ, როგორც ახალმა იდეოლოგიურმა რელიქვიამ.

უმძიმესი იყო 1918 წლის მონაპოვრის განადგურება. 1921 წლის ტრაგიზმმა ლიტერატურაში გააჩინა ორი ძირითადი ნაკადი: გასაბჭოების მეხოტბენი ანუ პროლეტარული მწერლობა და თავზარდაცემული ჭირისუფალნი, რომელთაც რეჟიმმა აღუკვეთა შემოქმედებითი თავისუფლება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ დოკუმენტური სიზუსტით შექმნილ მწერლობას, რომელსაც უმნიშვნელო ელფერად გასდევს გრძნობები, ემოციები და მხატვრულობა.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ცისფერყანწელ ნიკოლო მიწიშვილის დოკუმენტურ პროზაულ ნაშრომზე - „თებერვალი“, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაზე - „დიდი იოსები“, კოლაუ ნადირაძის ლექსზე - „1921 წელი, 25 თებერვალი“.

მიწიშვილის შემოქმედებას ნიშნულად გამოარჩევს დოკუმენტურობა. აქვს კიდევ სტატია „დოკუმენტალური პროზა“, რომელშიც გამოხატავს პოზიციას, რომ თანადროული ვითარება მწერალს აიძულებს წეროს მხოლოდ ნამდვილი, შეუღამაზებელი ცხოვრება, რადგან, მისივე სიტყვებით, „გამოგონილ ამბავს სჯობნის ნამდვილი ამბავი“.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტალურმა ჟანრმა ფეხი მაინცა და მაინც ვერ მოიკიდა ჩვენში, აღნიშვნის ღირსია, რომ მისი მცდელობა ნიკოლო მიწიშვილის სახელს უკავშირდება.

ისტორიული სინამდვილის შეუნიღბავად გადმოცემა ლიტერატურაში, მწერლობაში დიდი რისკიანაა, გამბედაობაც, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ჩვილისთვის იავნანა, ბავშვისთვის ზღაპარი, რადგან სიტყვა ბანგით ზემოქმედებს ადამიანებზე და ითრევს თავის წიაღში. წარსულის გაკვეთილებად უნდა აღიქვას ფართო მკითხველმა აქ განხილული ნარატივი და დაუკავშიროს ისტორია თანადროული ცხოვრების გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: ეპოქალური მოვლენები. ბოლშევიზმი. რევოლუცია. გასაბჭოება. მიგრაცია. დოკუმენტური ლიტერატურა.

XX საუკუნის ლიტერატურული პროცესები, ფაქტობრივად, განაპირობა სოციალისტური რეალიზმის ფონზე განვითარებულმა ეპოქალურმა მოვლენებმა. ბოლშევიზმი, რევოლუცია, გასაბჭოება, ტოტალიტარიზმი, ბელადი, რეპრესიები... ამ

ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე საუკუნეში ლიტერატურა, ცხადია, ვერ აიცილებდა თავიდან სინამდვილის ასახვას.

საბჭოთა ლიტერატურული პროცესების მიმართ საზოგადოების ცხოველი ინტერესი დღემდე არ ცხრება, რაც აშკარა გამოწვევაა კრიტიკოსებისთვის ძირეულად გააანალიზონ, თუ როგორ აისახა გასაბჭოების სინამდვილე მხატვრულ ნაწარმოებებში.

XX საუკუნის მთავარი მონაპოვარი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტია. მას ქართული საზოგადოება დღემდე განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ეს იყო 117-წლიანი მონობიდან გათავისუფლების, საქართველოს ახლიდან დაბადების დღესასწაული. ამ დოკუმენტმა ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივა შორეულად ესახებოდა იმჟამინდელ ელიტას, 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ სურათი და განწყობა-დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ლიტერატურა მარად კისრულობდა „ტრიბუნის“ როლს, ხშირად „მესაქისაც“. ამიტომაც, არავის გაუკვირდება, რომ მოვლენათა კვალდაკვალ მწერლები შემოქმედებით მუზად იხდიდნენ სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებით გაპირობებულ სიხარულსა და სიამაყეს. ამ განწყობათა პარალელურად ქვეყანაში იგრძნობოდა ხალხის ერთგვარი შიში, შემფოთება ანტირუსული პროპაგანდის გამო, „რადგან ფიქრობდა, რომ ამ იდეის განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ „დიდი ზიანის მოყენებაც შეეძლო“ და საქართველოს „სასაკლაოზე მიყვანაც“ (ნიკოლეიშვილი ა. „ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში(1917-1921)“. თბილისი, შპს „გამომცემლობა სამშობლო“ 2023. 139). შფოთვის საფუძველი კი გახლდათ არასაიმედო ეკონომიკური მდგომარეობა. ამ საკითხში საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის შეფასება: „ევროპის სახელმწიფოებმა, თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს“ (ნიკოლაძე, 1962: 265).

აშკარაა, საუკუნის გამორჩეული ფიგურა ნ.ნიკოლაძე „უპერსპექტივო და ნაკლებად სასარგებლო“ (ა.ნ. გვ.140) საქმედ თვლიდა საქართველოს ევროპულ ორიენტაციას და ამგვარად უპირისპირდებოდა XIX საუკუნის რეალისტურ ტენდენციებს, კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს, აკ.წერეთელს და სხვ.

ეროვნული თვითმყოფადობის საკითხში ქართულ საზოგადოებას ახასიათებს ორჭოფობა. სურვილი და მიზანი ერთი აქვს, მაგრამ მიზნისკენ სწრაფვაში ნაკად-ნაკად მიდის, ჩერდება, მიდის, ჩერდება, ზოგჯერ გადაუხვევს გზიდან. ამ პროცესს განაპირობებს პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული ფაქტორები. საქართველო სანამ გაიმართება, მას მუდამ სჭირდება ხელის შემშველბელი ძალა, ამ დასაყრდენს კი მუდამ „სთავაზობდა“ ხან არაბეთი, ხან ბიზანტია, ხან ირანი, ოსმალეთი და უკანასკნელ საუკუნეებში რუსეთი. ევროპას გვიანდელი შუასაუკუნეებიდან დღემდე საქართველოსთვის მყარი დასაყრდენი არ შეუქმნია. მხოლოდ შეთავაზებისა და შორეული პერსპექტივის მკრთალ შუქურად ისახება. (უკანასკნელ პოლიტიკურ ვითარებაში კი სრული ქაოსია ამ მიმართულებით).

1918 წლის მოვლენამ საქართველოს ახალი ყალიბი, მკვეთრი მიზნები გაუჩინა. დამოუკიდებლობის სიხარულმა ქართულ მწერლობაში გააჩინა დითირამები, 26 მაისს, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ეროვნულ დროშას უძღვნიდნენ პოეტები ლექსებს.

თუმცა, 1921 წლის უმწვავეს მოვლენასთან ერთად ეს ერთი ფაქტობრივი ნარატივი თვალსა და ხელშეა განიცდის ცვლილებას ერთი რეალობიდან მეორეში გადასვლით. ბევრი „თანამგზავრი“ შეუერთდა საბჭოთა დაკვეთას - „მწერალთა გაპროლეტარებას!“ როგორც აკაკი ბაქრაძე იტყვის თავის „მწერლობის მოთვინიერებაში“, „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი - მწერალ-ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით - აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ (ბაქრაძე 1990: 41)

ამგვარი პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებდა მაგალითად, გიორგი ლეონიძე. თუ ის ლექსში „საქართველო“ „ორი ათასი წლის ნაომარ დროშას“ ეფერება, „მზიან მხარეს“ არ ინდობდა „მეზობელი თუ გათამთიელი“, მაგრამ პოეტი გახარებულია და ამაყად მიმართავს საქართველოს: „შენ ისევ დგახარ“, რადგან „დასაბამიდან ანდერძად გქონდა თავისუფლება გულს დასახული“, ორმაგ სახეს ვაწყდებით სხვა ლექსში. კერძოდ, ერთ ლექსში, რომლის სათაურად რუსთაველისგან დაუსესხია სიტყვები: „ალმითა წითელ-შავითა“. ევროპაში, კერძოდ, პრაღაში მყოფი პოეტი „ერთ მეისტორიესთან“ დიალოგს იხსენებს:

„შეკითხვა მომცა ბაასდართული:

- რა ფერის დროშა გქონდათ ქართველებს?...

თუმც საქართველო ბევრჯერ გათელეს,
მაინც ხართ ხალხი სახელოვანი!“

.....

ფერი დროშისა ბევრის მთქმელია,
თანაც სიმაგრე დროშის ტარისა“...

რაზეც ლირიკული გმირი, ანუ თავად პოეტი პასუხობს:

„- ჩვენ შინდისფერი დროშა გვქონია,
შავის არშით შემოვლებული!“

გიორგი ლეონიძე განმარტავს დროშის ფერების სიმბოლურ მნიშვნელობას:

„ჩვენგან დაღვრილ სისხლს
თურმე ნიშნავდა
ფერი შინდური,
სისხლური ფერი...
მწარე, შავ დღებს ჩვენი წარსულის
მოასწავებდა შავი არშია;

დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს დროშაზე ხომ აღტაცებულ სტრიქონებს ქმნის, რომ შინდისფერი დროშა შავი არშით ასახავდა ეროვნულ იდენტობას, თუმცა პარადოქსულია ლექსის დასასრული, სადაც პოეტი ბოროტ ძალაზე გამარჯვების სიმბოლოდ ასახელებს „დროშა წითელს“, რომელიც სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია და კომუნისტური ეპოქის სიმბოლო, ლექსში ვხედავთ ლეონიძის უცნაურ გარდასახვას. დამოუკიდებელი საქართველოს დროშის, როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლოს, სიხარული შეცვალა საბჭოთა წითელმა დროშამ, როგორც ახალმა იდეოლოგიურმა რელიქვიამ, რომლის მიმართაც იკვეთება პოეტის ერთგულება ლექსის ფინალში:

„ამაყად იდგა ერი ნაჩეხი,
და არ დაუთმო შავ ფერს სამშობლო!
ხალხი როდისმე განა ვალშია?

ბედს თუ ეძინა,
ხალხს არ ეძინა,
დროშის კალთების შავი არშია
ოქტომბრის ქარცეცხლს დააწეწინა!
ხელში აიღო დროშა წითელი,
გახდა ერთგული მისი მტვრითველი...”

(ლეონიძე, „საქართველო“, 1959)

დიახ, ეს რეალობაა. ქართველი მწერლების საუკეთესო ნაკადი განიცდიდა ამგვარ ტრანსფორმაციას. ეპოქის ტრაგიკული პოლიტიკური ცვლილება - დამოუკიდებლობიდან საბჭოთა ოკუპაციამდე - მეოცე საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო.

ჩვენი ყურადღების ფოკუსი ამჯერად გავასწორეთ სწორედ დოკუმენტურ მხატვრულ ლიტერატურაზე, რომელიც ფაქტებს ემყარება და არა სინამდვილის ალეგორიულ, მეტაფორულ აღქმას.

უმძიმესი იყო 1918 წლის მონაპოვრის განადგურება. 1921 წლის ტრაგიზმმა ლიტერატურაში გააჩინა ორი ძირითადი ნაკადი: გასაბჭოების მეხოტბენი ანუ პროლეტარული მწერლობა და თავზარდაცემული ჭირისუფალნი, რომელთაც რეჟიმმა აღუკვეთა შემოქმედებითი თავისუფლება. ლიტერატურასა და, ზოგადად, ისტორიაში ეს იყო ტერორის, განუკითხაობის, ანგარიშსწორებისა და დაუნდობლობის ეპოქა, იდეოლოგიური ზომბირების გზით ხდებოდა მწერალთა ჩაყენება ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში.

ამ უმძიმესი პოლიტიკური და სოციალური არეულობის ფონზე მივიღეთ პარადოქსული, ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიური ნარატივი, ცხადია, თუ საკითხს ასე დავაყენებთ, ვის ან რას ემსუბურობდა ქართული მწერლობა, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივანიჭოთ დოკუმენტური სიზუსტით შექმნილ მწერლობას, რომელსაც უმნიშვნელო ელფერად გასდევს გრძნობები, ემოციები და მხატვრულობა.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ცისფერყანწელ ნიკოლო მიწიშვილის დოკუმენტურ პროზაზე „თებერვალი“, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაზე „დიდი იოსები“, კოლაუ ნადირაძის ლექსზე „1921 წელი, 25 თებერვალი“.

ისტორიული და პოლიტიკური რეალობის ზუსტი ასახვა მწერალთა მხრიდან ერთგვარი თამაშიც იყო, სინამდვილე, როგორც ნილაბი და როგორც პროტესტი. მაინც უნდა ითქვას, რომ გაბედილი ნაბიჯი იყო.

ნიკოლოზ იოსების ძე მიწიშვილი (სირბილაძე) 1896 წლის 3 ნოემბერს დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ჯვარისაში, ღარიბი გლეხის (მჭედლის) ოჯახში. მან დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, დაამთავრა ორწლიანი სამასწავლებლო კურსები და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ვანის რაიონის სოფლებში - ტობანიერსა და საჩინოში. მწერლობაში 16 წლისა, 1912 წლიდან გამოჩნდა. ის იყო ცისფერყანწელთა ჯგუფის აქტიური წევრი.

1922-1925 წწ-ში ის იმყოფებოდა საფრანგეთში, სადაც კომუნისტური პროპაგანდის გამო დააპატიმრეს, საფრანგეთიდან სამჯერ გაასახლეს, 1925 წლიდან კი ბრუნდება სამშობლოში და ერთვება საბჭოთა აღმშენებლობაში.

ნ.მიწიშვილი არ გამოირჩეოდა თვალშისაცემი პოლიტიკური ორიენტაციით, არც სოციალისტური და არც დემოკრატიული მკვეთრი არჩევანი არ გამოუხატავს.

იყო ე.წ. „პასიური ოპოზიცია“.

მის შემოქმედებას ნიშნულად გამოარჩევს დოკუმენტურობა. აქვს კიდევ სტატია „დოკუმენტალური პროზა“, რომელშიც გამოხატავს პოზიციას, რომ თანადროული ვითარება მწერალს აიძულებს წეროს მხოლოდ ნამდვილი, შეულამაზებელი ცხოვრება, რადგან, მისივე სიტყვებით, „გამოგონილ ამბავს სჯობნის ნამდვილი ამბავი“ (ქართული მწერლობა; 1928; იანვარი).

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტალურმა ჟანრმა ფეხი მაინცა და მაინც ვერ მოიკიდა ჩვენში, აღნიშვნის ღირსია, რომ მისი მცდელობა ნიკოლო მიწიშვილის სახელს უკავშირდება: „რამდენადაც ვიცი, ჩემი ცდა იყო პირველი მაგალითი საქართველოში ყველა თეორიულ დეკლარაციაზე ადრე“ (ნ.მ).

მიწიშვილის მთავარ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს „ეპოპეა“, რომელიც წარმოადგენს ქართულ ქრონიკას რევოლუციის დროიდან, ვითარება გაშლილია საქართველოში და საზღვარგარეთ. (მიწიშვილი ნ. 1958; გვ. III-XII)

ერთი განსაკუთრებული რეალობა ნაწარმოების პირველივე გვერდზე ეცემა თვალში მკითხველს: „ცხოვრება არის კვამლი, ნაცარი და საუბარი“ (ავტორი მარკუს ავრელიუსი)... მწერალი საცოდავი კაცია დღეს. ახლა აღარ კმარა იყვე ის, რაც ბუნებით ხარ მოცემული. დღეს საჭიროა მწერალი უნდა იყვეს რევოლუციონერი, მეზრდოლი, თანამედროვე. უნდა აღწეროს მან მიმდინარე ცხოვრება, ყოფა; ემსახუროს ხალხს და მიჰყვეს რევოლუციას ფეხდაფეხ. სჭირს...”

მწერალი თავის ერთ-ერთ წიგნს, „გარდაცვალება“ ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით, ევროპავ, და მშვიდობით, ახალგაზრდობავ... შინ! შინ! სახლისაკენ! მიწისაკენ! ჩემო მიწავ და ჩემო თავსაფრიანო დედავ. ზარებმა შესწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბლავიან ჩვენსას, კოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს. მეც დავუბრუნდი ჩემს ამწვანებულ მიწას“ (იქვე: 480. ეს აღიარება ერთ ფაქტობრივ ნიმუშად ღირს, მართალია სევდიანი ტონი იგრძნობა, მაგრამ მიბრუნება მიწისაკენ აშკარად იგრძნობა.

ლექსში „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, რომელზეც შესანიშნავი განხილვა აქვს მანანა ჩიტიშვილს (ჩიტიშვილი 2006), როგორც არა მხოლოდ ტრაგიკული სცენის, არამედ როგორც მსოფლმხედველობრივი გაკვეთილისა, ჰაჯის ტრაგედია გენერალური გაფრთხილებაა ძალთა წინააღმდეგ მიმართული არჩევანისა. მიწიშვილი ორჭოფობის, ორმაგობის წინააღმდეგია, როცა დადესტნელი ჰაჯი მურატის მოკვეთილ თავს შამილი „გამყიდვლისას“, ხოლო ვორონცოვი „მოღალატისას“ უწოდებს:

„მაგრამ, თუ იბრძვი - სამუდამოდ უნდა იცოდე,

გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით“. (იქვე: 202)

დოკუმენტურ „წყაროდ“ გამოდგება ნიკოლო მიწიშვილის „თებერვალი“, რომელიც ლაბორატორიული სიზუსტით აღწერს 1921 წლის 17-18 მარტს საქართველოდან მენშევიკური მთავრობის წასვლისა და მთავრობაში ბოლშევიკთა მოსვლის ფაქტებს. ის დაიწერა პარიზში, ისტორიული მოვლენიდან ორი წლის შემდეგ.

მიწიშვილის „თებერვალი“ საქართველოს პროფკავშირის გამომცემლობამ 1927 წელს დაბეჭდა გაზეთ „შრომაში“ (გვ. 73).

ნაწარმოების ღირებულებას ზრდის ის გარემოება, რომ მიწიშვილი არის მოვლენათა უშუალო თვითმხილველი. მონოტონური, ნერვიული, დაძაბული თხრობაა:

„ბათომს წითლები უახლოვდებიან... მთავრობა დაქსაქსულია.

... იყო სადღაც კრებები. თათბირი და ბჭობა. ვიღაცა ელაპარაკებოდა ვიღაცას. ვიღაცა სწყვეტდა საქმეს მნიშვნელოვანს და ამას აცხადებდა. ვიღაცა არ აცხადებდა არაფერსაც. ვიღაც მოითხოვდა ხელთათმანებს, თივას და აბჯანდებს. ვიღაცა იჯდა ვაგონში და არავის არ ლებულობდა“. აშკარაა, ავტორი იყენებს „დეპეშურ სტილს“ (ან), ვითარებას გადმოსცემს ფრაგმენტებად:

„იყო მარტი. 1921 წელი. ქალაქ ბათომში. ამ დღეს ბათომი გასხვანაირდა. ეს იყო უკანასკნელი დღე. ამ დღეს წავიდა მთავრობა (მენშევიკები), ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება (საქართველოსი), ამ დღეს დააპირეს ბათომის აღება თათრებმა. ამ დღეს მოხდა კიდევ მრავალი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამბავი და როდესაც გათენდა შემდეგი დღე, ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ: ქალაქი დაიკავეს ბოლშევიკებმა... ახლა შეტრიალდა კანონები უკულმა“. მწერალი სტიქიონს ადარებს „წითელ ღვარცოფს“ (მ.კ), რომელიც მოასკდა კავკასიონს და ზღვასთან გაჩერდა. (მიწიშვილი. 2006. (2); 16), სწორედ ამ ღვარში დაინთქა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. თხრობას ერთგვარ ექსპრესიას მატებს მიწიშვილის განმარტება „ორი გზის“ თაობაზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა ინტელიგენცია: „გზა ზღვისკენ“, ანუ ევროპისკენ და გზა „ზღვის ნაპირამდე“. ავტორი განმარტავს: „ორივე გზა იყო საშიში. ორივე გზა უფსკრულებზე. სიარული დანის პირზე“ (იქვე: 16).

ქვეყნიდან გაქცევის, მასშტაბური მიგრაციის სურათი სწორედ მარტის დღეების ქრონიკაში შემოგვინახა, რასაც თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისთვის სასიგნალო მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რამდენადაც წარსულის გაკვეთილები საზოგადოებას ეხმარება მომავლის განჭვრეტაში.

მარტის იმ მძიმე დღეებში ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი უცხოეთში გასაქცევად ემზადებოდა. „ვაჭრობდნენ სარეკორდოდ და უჩვეულოდ: - ქუჩის ფოტოგრაფები და რესტორნები... იდგა სამფეხიანი აპარატი ყველა მოსახვევში... სურათის გადაღება საჭირო იყო (აუცილებლად) საგარეო პასპორტისთვის... ფასი დაედო ძალზე ჩემოდნებს... სისხლის ფასად, მაგრამ ჩემოდნები საღებოდა მაინც...

მიღლავდა ქუჩაზე: ეტლები, ფურგონები, საბარგო მანქანები.

მიჰქონდათ: ნოხები. სკამები. კალა. ჟესტის ყუთები, თბილი საბნები ბარდანებად შეკრული“.

ყველაფერს ათოვდა. და სატიროდა გზაზე წვირიანი თოვლი.

...ქუჩაში ყიდდნენ დარცხვნილი ხმით „ერთობას...“ (მიწიშვილი ნ. 2006; 19-21).

მწერლის კომენტარი, „არავინ იცოდა, თუ რა იქნებოდა ხვალ“ - მეტყველებს საზოგადოებაში გაბატონებულ დაბნეულობაზე, ნიჰილიზმზე, პანიკაზე... იცოდნენ, გრძნობდნენ, რომ „დაარბევდნენ“, ჩეკა ყოველდღე უთუოდ თოთო-თითოდ „დახვრეტდა“ კაცებს.

„თებერვალში“ ვკითხულობთ: „იდგა შიში, სვეტივით ჩასობილი გულში (ნიკოლეიშვილი ა., 2023. შპს „გამომცემლობა სამშობლო“. 591)

ნაწარმოებში ასახული მოვლენების ცენტრში არის სიმონ ახალკაცი - ფაქტობრივად, მწერლის პროტოტიპი. ის განზოგადებული სახეა მისივე ბედში მყოფი საზოგადოებისა. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდა, როცა თბილისიდან გაქცეული ბათუმს შეეხიზნა, მაგრამ როცა ნახა, რომ ეს „ხავსი“ ანუ მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში გარბოდა, ის მოიცვა სასოწარკვეთამ: „გაიქცა მოქალაქენო და არც კი მოიხედა უკან. დაივიწყა სინდისი და ნამუსი. ზნეობა და პატიოსნება და ასე უსახელოდ მიატოვა სამშობლო კერა (ნიკოლეიშვილი ა. 2023; შპს „გამომცემლობა სამშობლო“. 590).

ისტორიული სინამდვილე დღესაც აქტუალურია. მთავრობები მიდიან, იცვლებიან, მაგრამ ხალხი ის მთავარი ღერძია, რომლის გარშემოც ტრიალებს სამშობლოს ბედის ჩარხი: „აქ დარჩა საქართველო და ქართველი ხალხი“ - იქვე წერს ნიკოლოზ მიწიშვილი.

მწერალი ბათუმის გარდა „შემწვარი ტარანივით გაფხეკილ“ სამტრედიაზეც გვიამბობს, აღწერს თურქულ აგრესიას, რომელიც ჩასაფრებული უცდიდა მომენტს ბათუმის მისასაკუთრებლად, რაც ქართულმა ჯარმა არ აღირსა: „ფორტებში იჯდა თათარი. არ იქნა მისი გამოდენა. იბრძოდა სასტიკად. თავგამოდებით. თათარს ბათომი სწყუროდა. დაიჭირა კიდეც ქალაქში - ფოსტა, საბჭო, რამოდენიმე სხვა ადგილიც. ჩაჯდნენ სახლში... გამაგრდნენ. არ გამოდიოდნენ გარეთ. სახლის წინ იდგა ხიშტიანი წითელი რუსი... მაგრამ ფორტებზე მოფშვნეს თათარი ერთ დღეს. ეს ქნა ქართველმა ჯარმა. გამორეკა სანგრებიდან მტერი. ამოყარა და გააქცია“ (ნიკოლოზიშვილი ა. 2023. შპს „გამომცემლობა სამშობლო“. 592).

მთავარი და თავზარდამცემი ფაქტი, რასაც გვიყვება მწერალი, არის ეროვნულ ფასეულობათა დაცვის, შენარჩუნებისა და გადარჩენის საფრთხე, რუსული მმართველობის ხელში. ამ საფრთხის საილუსტრაციოდ ბოლშევიკ სიმონსა და მის მეგობარს შორის გამართული დიალოგის ერთ ფრაგმენტს მოვიყვან:

- „- სხვანაირდება ქვეყანა. წითელი საქართველო. საბჭოების. როგორ მოგწონთ?
- საქართველო ხომ არის და წითელი იყოს, თუ გინდ ყვითელი, სულ ერთია.
- აღარაა, ჩემო ძმაო, საქართველო, აღარაა, თუ დამიჯერებ“ [იქვე: 593].

მართალია, მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ერთადერთ ნაწარმოებად მიიჩნევა ნიკოლოზ მიწიშვილის თებერვალი, მაგრამ ყურადღებას იმსახურებას კოლაჟ ნადირაძის „1921 წლის 25 თებერვალი“. ლექსის ისტორია მრავალგზის დაიწერა, იყო კრიტიკოსთა განხილვის საგანი, ამიტომაც მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებ იმ დოკუმენტურ ჩარჩოზე, რომელზეც გაშალა ავტორმა სათაურში მითითებული თარიღის სიმძაფრე და სისასტიკე:

„თოვდა... თბილისს ებურა თალხი.../ დუმდა სიონი და დუმდა ხალხი./ ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,/ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!/ისევ წამების ჯვარი აგვიდეს,/არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!...თოვლი ცვიოდა ნელა./ეფინებოდა გმირების გვამებს -/ განგმირულ მკერდებს, დაღწილ მკლავებს,/და უძრავ იყო თებერვლის ღამე...მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,/წითელი დროშით, მოღერილ ყელით,/თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით/შემოდოდა სიკვდილი ცელით!“ - ლექსში წარმოდგენილი ისტორია ფაქტობრივია. საზოგადოების განწყობა, ქვეყნის აგონიური მდგომარეობა, პოლიტიკური ვითარების გამოცვლა, „სიკვდილის გზა“ - სრულად ემთხვევა, და რადგან 1923 წლით თარიღდება მიწიშვილის „თებერვალი“ და კოლაჟს ლექსი 1985 წელს იხილავს სამზეოს, თამამად შეგვიძლია ის ერთგვარ პოეტურ რემინისცენციადაც მივიჩნიოთ მიწიშვილის დოკუმენტური პროზაული ნაშრომისა. მით უმეტეს, რომ კოლაჟს ლექსში არაფერია შენიღბული, ყველაფერი თავისი სიმწვავეთ არის წარმოდგენილი და ისტორიული ფაქტის ღირიული გამოხატულებაა.

ასევე საყურადღებოა დოკუმენტური აღწერილობის შესანიშნავი მოთხრობა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსები“.

ჩვენი მიზანი არა შინაარსის ან იდეის გარშემო მსჯელობაა, ჩვენ გვსურს იმ დოკუმენტური თხრობის სტილს გავუსვათ ხაზი, რომელიც პედანტური სიზუსტით, დაწვრილებით იძლევა ე.წ. თებერვლის ქრონიკას.

მოქმედება იწყება „თავისუფლების მოედანზე 24 თებერვლის ღამეს“. თვალეზი ქალაქის საათის ციფერბლატს მისჩერებოდნენ. ელოდნენ ათასების თვალეზი: როდის დაჰკრავდა თორმეტჯერ“ - ეს არის სწორედ ის ისტორიული წუთეზი, როცა ქვეყანაში იცვლება დროება, ეპოქა.

„მეკურტნე იოსეზი... ალიონიდან ეზიდებოდა მაფრაშებს, ხურჯინებს, ჩემოდნებს, ხან სადგურზე, ხანაც ქუჩიდან ქუჩაზე, რადგანაც ქალაქში გაუგონარი ამბავი ხდებოდა. აიყარნენ მცხოვრებნი... აზუზუნდნენ, აბორგდნენ, აზვავდნენ. ერთი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა თავისი ბარგიტ, ნაწილიც მოუსვენრად ქუჩებში დაწრიალებდა. დაბნეულობაა, აღარ იცოდნენ, სად შეენახათ პატიოსანი თვლები, ნოხეზი, ფაიფურის ჭურჭლები და საგანძური.

ვისაც გული საგულეს ჰქონდა, ვისაც დასაკარგავი არაფერი გააჩნდა, მოედანზე იდგა რაღაც საოცარისა და არნახულის მოლოდინში” - იდენტურ ვითარებას აღწერს ნიკოლო მიწიშვილი და ეს ორი ნაწარმოეზი იმდენად ეხმიანება მენშევიკების წასვლისა და ბოლშევიკების მოსვლის ქრონიკებს, რომ მხატვრული და კომპოზიციური სხვაობანი მაინც ვერ აშორებს ერთმანეთთან.

თბილისსა და ბათუმში ზუსტად ერეთნარი ჟამი დგას. სოციალური ფონი, პოლიტიკური ატმოსფერო, ადამიანთა ქცევეზი, განწყობა - ერთ ყალიბში აქცევს ამ ეპოქალურ ნაშრომებს.

გამსახურდია გვიყვება: „გარბოდნენ ბარგიტ დატვირთული ჟოკეიანი, ბლუზიანი მოქალაქეეზი, მიჰქროდნენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგეობის აივნებს, ყაყანებდა როგორც პილატეს მომლოდინე ებრაელობა დიდ პარასკევს... ავტომობილებში უწესრიგოდ ეყარა საოჯახო კარადეზი, მაგიდეზი, საწოლები, ქვაბეზი, თავმოკრული ტომრეზი.

...მაგიდეზს უსხდნენ პორთფელიანი რუსეზი, შავბლუზიანი ებრაელები. ერთ ადგილას ფაფუკლიპიანი ტფილისელი მოქალაქეეზი შეექცეოდნენ მწვადებს. კახა ქალები მხიარულად კისკისებდნენ და წამდაუწუმ საკვიაჟის სარკეში იჭვრიტებოდნენ, პომადით იღებავდნენ ლაშებს.

ბედისწერამ უკულმა შეატრიალა ქართველთა ცხოვრება ამ „ამღვრეულ, დაბურდულ, განადგურებულ, დომხალივით არეულ ტფილისში“.

„მეწყერი და მიწისძვრა, დრო და სიმხურვალე, წვიმა და გრიგალი... დროის ფოლადის კბილებმა დაღეჭა ბოლნისის სიონი, ვარძია, ატენი. თვით სვეტიცხოველიც შეარყია მიწისძვრამ და საუკუნეთა უწყალო გრიგალმა...“, რადგან „ჯერაც არ ამენებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი, ერთხელაც არ დაინგრეს“.

ისტორიული სინამდვილის შეუნიღბავად გადმოცემა ლიტერატურაში, მწერლობაში დიდი რისკიცაა, გამბედაობაც, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ჩვილისთვის იავნანა, ბავშვისთვის ზღაპარი, რადგან სიტყვა ბანგივით ზემოქმედებს ადამიანებზე და ითრევს თავის წიაღში. წარსულის გაკვეთილებად უნდა აღიქვას ფართო მკითხველმა აქ განხილული ნარატივი და დაუკავშიროს ისტორია თანადროული ცხოვრების გამოწვევეზს, როგორც ქვეყნიდან მიგრაციის სახიფათო არჩევანს.

ბიბლიოგრაფია:

1. ბერძენიშვილი ლ. 2022; 1921-1990 (*ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი*); თბ. არტანუჯი
2. ბაქრაძე ა. 1990; მწერლობის მოთვინიერებ; თბ. სარანგი
3. გამსახურდია კ. 1983; თხზულებათა ატომეული, ტ. V. თბ. საქართველოს მაცნე
4. გურული ვ. 1999; ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ. ინტელექტი

5. კობიაშვილი მ. 2021; „საბჭოთა რევოლუციები 1921-1940 წლების ქართულ მწერლობაში. თბ. საქართველოს მაცნე;
6. მიწიშვილი ნ. 1926; ფიქრები საქართველოზე; „მნათობი“, N2, თბ.
7. მიწიშვილი ნ. 2006; (1), ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ. არტანუჯი
8. მიწიშვილი ნ. 2006; (2), თებერვალი, თბ. არტანუჯი
9. მიწიშვილი ნ. 1958; რჩეული, გამომც. საბჭოთა მწერალი, გვ. III-XII
10. ნადირაძე კ. 1984; რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ. მერანი
11. ნადირაძე კ. 1985; ათასი ლექსი პოეტის. 1921 წლის 25 თებერვალი. თბ. მერანი.
12. ნიკოლაძე ნ. 1962; თხზ. ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
13. ნიკოლეიშვილი ა. ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში (1917-1921 წლები). შპს „გამომცემლობა სამშობლო. თბ. 2023
14. ხერხეულიძე გ. 1959; გიორგი ლეონიძის პოეზია. თბ. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.
15. შრომა. გაზ. 1927. საქართველო. პროფკავში. გამომცემლობა

Some Aspects of Documentary Narration in 20th Century Fiction

Kobiashvili Maia

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

The public's lively interest in Soviet literary processes has not waned to this day, which is a clear challenge for critics to fundamentally analyze how the reality of Sovietization was reflected in works of fiction.

In terms of national identity, Georgian society is characterized by ambiguity. They have the same desire and goal, but in their pursuit of the goal, they move in a stream, stop, move, stop, and sometimes deviate from the path. This process is determined by political, historical, and geographical factors.

The joy of the independent Georgian flag as a symbol of national identity was replaced by the Soviet red flag as a new ideological relic.

The most severe was the destruction of the achievements of 1918. The tragedy of 1921 gave rise to two main currents in literature: the writers who were in favor of Sovietization, or proletarian writing, and the disillusioned writers who were deprived of creative freedom by the regime.

Special importance should be given to writing created with documentary accuracy, with a slight hint of feelings, emotions, and artistry.

In this paper, we will focus on Nikolo Mitsishvili's documentary prose "February", Konstantine Gamsakhurdia's short story "Great Joseph", and Kolau Nadiradze's poem "February 25, 1921".

Mitsishvili's work is significantly distinguished by its documentary nature. He even has an article titled "Documentary Prose," in which he expresses the position that the contemporary situation forces writers to write only about real, unadorned life, because, in his own words, "a true story is better than a fictional story."

Although the documentary genre has still not gained a foothold in our country, it is worth noting that its attempt is associated with the name of Nikolo Mitsishvili.

Undisguisedly conveying historical reality in literature and writing is a great risk and courage, but it is extremely important, like a lullaby for a baby or a fairy tale for a child, because words affect people like a bomb and drag them into their bosom. The general reader should perceive the narrative discussed here as lessons from the past and connect history to the challenges of contemporary life.

Keywords: Epochic events. Bolshevism. Revolution. Sovietization. Migration. Documentary literature.